



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. მარი ფალელაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ნინო ბერიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ნანა კასრაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
4. სოფიო მურუსიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ინგა ხრიკაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. ვერა გუდაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. მარიამ ჯვარიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ნონა გორგილაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. საბა დარსაველიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ინგირის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373735

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407; ზუგდიდი, სოფელი ინგირი, საირმის ქუჩა N29
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1483?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



	20%E2%84%962%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ingiri2skola@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 05 30 41

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 23/08/2023, ბრძანება N1028896 (ცვლილება N 1406218-19.10.23)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 26 და 27 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო
---	----------------------	----------------------	----------------------	----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407; ზუგდიდი, სოფელი ინგირი, საირმის ქუჩა N29
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407; ზუგდიდი, სოფელი ინგირი, საირმის ქუჩა N29
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407; ზუგდიდი, სოფელი ინგირი, საირმის ქუჩა N29

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი, საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტი და ცენტრის წარმომადგენელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, ვინც ბრძანებით იყვნენ გამოყოფილი ექსპერტთა ჯგუფთან სამუშაოდ, კიდევ ერთხელ გავიარეთ დღის წესრიგის პუნქტები, ვუთხარით, რომ ვიზიტი წარმოდგენილი რეჟიმით განხორციელდება და ამასთანავე გავაცანით საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების განრიგი. ვიზიტის მიმდინარეობის ორივე დღეს ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის დროს ცენტრის წარმომადგენლის საშუალებით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც შექმნილი იყო მას შემდეგ, რაც ცენტრში წარადგინა საავტორიზაციო განცხადება. აღსანიშნავია, რომ გადმოგზავნილი მასალებიდან ნაწილი ექსპერტთა ჯგუფთან მოვიდა ხარვეზებით ან/და ექსპერტებს არ ჰქონდა წვდომა ჩართული. ეს ეცნობა სკოლას, მაგრამ სკოლა მასალების გადმოგზავნისთვის მიცემულ ვადაში ვერ მოასწრო ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება

საგულისხმოა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში სამივე საფეხურის პროგრამის განხორციელების ადგილად მითითებული იყო. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407. ვიზიტის დროს კი სკოლა განაცხადა, რომ სწავლა სწავლების პროცესს ახორციელებს ორ მისამართზე. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ორივე მისამართზე მდებარე შენობა. ვიზიტის შემდგომ, სკოლაში ცენტრში დამატებით წარმოადგინა კორესპონდენცია (MES 0 23 0001538544, 13/11/2023), სადაც ასახულია, რომ თვითშეფასებაში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა კერძოდ, არ იყო დაფიქსირებული მეორე მისამართი, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი. გაცნობებთ, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა სწავლებას ახორციელებს ორ მისამართზე: ზუგდიდი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქუჩა N407 (შემდეგში მოხსენიებულია, როგორც სკოლის ძირითადი შენობა) და ზუგდიდი, სოფელი ინგირი, საირმის ქუჩა N29 (შემდგომში - სკოლის მეორე კორპუსი). შესაბამისად დასკვნის პროექტში აღწერილი ინფორმაცია შეეხება სკოლის ორივე მისამართზე მდებარე შენობას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		აღწერა
--	--	--------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსწავლეთა რაოდენობა: —500—	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
-------------	------------------	---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი		*****

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
-----------	------------------	--

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ა) სკოლის ორივე შენობისთვის მოიპოვოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნა; ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან; აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 24.10.2023 – 24.10.2024; გ) მოიპოვოს ორივე შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ორგანოსგან, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადაა 12.10.2023 – 12.10.2024
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან კორდინაციაში სკოლის ორივე შენობის შიდა კიბეებზე უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადაა 30.11.2023 – 30.11.2024
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

1. I, III და IV სტანდარტი

სტანდარტი	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას ეძლევა რჩევა გადახედოს ხედვას და ჩამოაყალიბოს გაზომვად და მისიის შესაბამის საშუალოვადიან (ან გრძელვადიან) მიზნად.
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლას მიეცა რჩევა, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი, რომელიც წარმოადგენს სახელობითი სიის შეუსაბამობას სამუშაო ჯგუფის ბრძანებასა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას ეძლევა რჩევა სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანები თანხვედრაში მოიყვანოს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ ამოცანებთან
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას ეძლევა რჩევა სკოლის შიდა მარეგულირებელ რომელიმე დოკუმენტში გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის ის რეგულაციები, რასაც ახორციელებს კიდეც პარაქტიკულად
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე
ინდიკატორი 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა აწარმოოს სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების ჟურნალი, სადაც აღრიცხავს შემოწმების ადგილს, პერიოდს და გაწეულ რეკომენდაციებს.
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას ეძლევა რჩევა განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი
ინდიკატორი 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სკოლას ეძლევა რჩევა წიგნების ის ნაწილი, რომელიც დამუშავებული არ არის, დაამუშაოს და აღრიცხოს საბიბლიოთეკო წესით
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.1.1.2.	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები	სკოლას მიეცა რჩევა „გასაჩივრების დეტალური პროცედურები გამჭვირვალობის და გაზიარების მიზნით განათავსოს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



	გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;	საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე (იხ. ინდიკატორის აღწერა)
--	---	---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში გაიწეროს მოლოდინები მიმართებით დონეზე. სპორტი - ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის.
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	მათემატიკა - კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამოს შესაბამისი ცნება და ქვეცნება.
ინდიკატორი N2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	მათემატიკა- სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი.



სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ქიმიის კურიკულუმი) - კათედრაზე არსებული გამოცდილების საფუძველზე (ბიოლოგიასა და ფიზიკაში საბაზო საფეხურზე შექმნილია რუბრიკები) შეიქმნას საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქიმიაში. სპორტი - ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის.
ინდიკატორი N2.2.2, I	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	მათემატიკა - კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამოს შესაბამისი ცნება და ქვეცნება.
ინდიკატორი N2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	მათემატიკა- სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	<i>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრაზე არსებული გამოცდილების საფუძველზე, საშუალო საფეხურზე ბიოლოგიაში, ქიმიაში და ფიზიკაში (მეთერთმეტე კლასი) შექმნილი კურიკულუმების მსგავსად მოდიფიცირდეს ფიზიკის მეათე კლასის კურიკულუმი ისე, რომ მკაფიო იყოს სამიზნე ცნებებზე და სავალდებულო თემებზე ორიენტირება.</i>
ინდიკატორი N2.1.2.4..	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმი) - კათედრაზე საბაზო და საშუალო საფეხურზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მსგავსად შეიქმნას საშუალო საფეხურზე ბიოლოგიასა და ფიზიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. <i>სპორტი - ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის.</i>
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე	მათემატიკა - კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამოს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



	ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	ცნება და ქვეცნება. მკაფიოდ გაიმიჯნოს ქვეცნება და თემის მკვიდრი წარმოდგენები.
ინდიკატორი N2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	მათემატიკა- სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ მოწოდებული არგუმენტირებული პოზიცია, შედეგად ხარვეზის ნაწილი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ნაწილი სრულ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მაგრამ ხედვა არ არის გაზომვადი, მისიის მიღწევის საშუალოვადიანი (ან გრძელვადიანი) მიზანი. სკოლას ეძლევა რჩევა გადახედოს ხედვა ჩამოაყალიბოს გაზომვად და მისიის შესაბამის საშუალოვადიან (ან გრძელვადიან) მიზნად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს ხელი მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში, საიდანაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, რომ სასკოლო გარემო სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნას უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N 2-104 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი 16 კაციანი შემადგენლობით, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელია. ჯგუფის დიდი ნაწილი მასწავლებლები არიან, მათ გარდა არის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც და თითო წარმომადგენელი მოსწავლეთა, მშობელთა და თემიდან. ჯგუფს დავალებული ჰქონდა 2023 წლის 15 სექტემბრამდე მისიის ხედვისა და ღირებულებების, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ბრძანების გარდა სკოლამ წარმოადგინა ამ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2 (N1 ოქმი არ იქნა წარმოდგენილი), რომელიც 2023 წლის 5 სექტემბრით თარიღდება და რომელშიც სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია (ის, რაც სკოლაში ვიზიტის დროს საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე იყო განთავსებული). ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნულ ოქმში დამსწრე პირებს შორის არიან პიროვნებები, რომლებიც ბრძანებით არ არიან ჯგუფის წევრები (დამსწრე პირების სიის N2 ნ.ჟ.; N4 - ზ.ხ.; N6 - მ.ს. და N9 - ნ.ც.). აღნიშნული გაირკვა ვიზიტის დროს გადმოგზავნილი მასალების შესწავლისას. სკოლას ეძლევა რჩევა გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი, რომელიც წარმოადგენს სახელობითი სიის შეუსაბამობას სამუშაო ჯგუფის ბრძანებასა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ. ოქმში საუბარია, რომ სამუშაო ჯგუფი აქტიურად ხვდებოდა სასკოლო საზოგადოებას, ატარებდა ზეპირ გამოკითხვებს, იზიარებდა და ინიშნავდა მათ წინადადებებს და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავეს მისია ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დასახელება „სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ინტერვიუ;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-104, 05.09.2023;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2. 05.09.2023;
- სკოლის

ვებგვერდი

-

<https://skolebi.emis.ge/schools/1483?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%962%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება მიდგომებს როგორცაა გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მიზანშეწონილუბა, სოციალური

პასუხისმგებლობა. აქედან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. ის შედგენილია თვითშეფასების ე.წ. SWOT ანალიზის საფუძველზე. მასში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიმართულებები, თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია სტრატეგიულ მიზნად, მიზნები ამოცანებად. დოკუმენტის სათაურში მითითებული, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლებისაა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, თუმცა ის არ ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რადგან განსხვავებული სტრატეგიული მიზნები და ამოცანებია. სკოლას ვიზიტის დროს განემარტა აღნიშნულის შესახებ, სკოლამ მზაობა გამოთქვა ერთწლიანი გეგმის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, თუმცა ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებში გასწორებული დოკუმენტები არ გადმოგზავნა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რადგან სამოქმედო გეგმაში, სტრატეგიული გეგმის მსგავსად განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიმართულება, ამასთან სტრატეგიული გეგმა მოიცავს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ აქტივობებს, თუმცა ამოცანები, რომელიც ორივე გეგმაშია მოცემული საჭიროებს სინქრონიზაციას (თანხვედრას). სასურველია, თუ სკოლა გაითვალისწინებს რჩევას სამოქმედო გეგმის ამოცანებს თანხვედრაში მოიყვანს სტრატეგიული გეგმის ამოცანებთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ადამიანურ რესურსად მითითებულია სამუშაო ჯგუფი, სასკოლო საზოგადოება, სამეურვეო საბჭო. აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.



4. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, თუმცა ამოცანები არ არის განსაზღვრული. აქტივობებზე მიწერილია პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები, მაგრამ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები არ არის განსაზღვრული, ამის გამო ერთწლიანი გეგმა ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა ის პუნქტი, რაც ინდიკატორითაა მოთხოვნილი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ადამიანურ რესურსად მითითებულია სამუშაო ჯგუფი, სასკოლო საზოგადოება, სამეურვეო საბჭო. აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წწ.)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წწ.);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, დოკუმენტი ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. რომლის მიხედვით სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. მონიტორინგის ვადები გაწერილია 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაშიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან, მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. ვიზიტის დროს, პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლამ გაზიარების დამადასტურებელად ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებს გაასაჯაროებს, თუმცა პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლას განხორციელების შეფასება ჯერ არ განუხორციელებია და შესაბამისად გასაჯაროებასაც ვერ წარმოადგინა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება ჯერ არ განუხორციელებია და შესაბამისად, მისი გათვალისწინების მაგალითებსაც შემდგომ დაგეგმვისას ვერ წარმოადგენდა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. გარდა ამისა სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ოქტომბრის N2-115 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ზოგიერთი ადმინისტრაციის წევრის ფუნქციებიც (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ არის განსაზღვრული ფუნქციები ისეთ სტრუქტურულ ერთეულებზე, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სპეცმასწავლებელი, ადმინისტრატორი, დარაჯი, დამლაგებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მაგრამ მათი ფუნქციები გაწერილია მათთან დადებულ სრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები რომელიც სკოლამ წარმოადგინა და შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი ფუნქციები, მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის შესრულებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება ადმინისტრაციას შორის ფუნქციონირებას განაწილების შესახებ N2-105, 03.10.2023.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი - პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პერსონალის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, პროფესიული განვითარება, დასკვნითი დებულებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია., გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული მხრიდან შეტყობინების წესი. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/ შენაცვლების პრაქტიკის განხორციელებისა, მაგალითად მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების, რომელსაც შემდეგი წესით ახორციელებს: თუ შესაძლებელია გამცდენი მასწავლებლის გაკვეთილის ჩატარება იგივე საგნის მასწავლებლის საშვალებით, მაშინ მოხდება ჩანაცვლება, თუ არა, მაშინ გაცდენილი საგნის მაგივრად ტარდება სხვა საგანი და გამცდენი მასწავლებლის სკოლაში გამოცხადების შემდეგ, მოხდება გაცდენილი საათების ანაზღაურება. თუ გაცდენა ხდება დიდი დროის განმავლობაში, შესაძლებელია მასწავლებელი ჩანაცვლდეს შემცვლელი მასწავლებლით. ასეთივე მიდგომაა არაპედაგოგიური პერსონალის მიმართაც - თუ შესაძლებელია ჩანაცვლება შიდა რესურსით, ჩანაცვლდება, თუ არა და დროებით დასაქმებაა გამოსავალი. თუმცა ეს არ არის რეგულაციის სახით სადმე აღწერილი. სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს არსებული პრაქტიკა. სკოლას ეძლევა რჩევა სკოლის შიდა მარეგულირებელ რომელიმე დოკუმენტში გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის ის რეგულაციები, რასაც ახორციელებს კიდევ პარაქტიკულად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის კონკურსის გამოცხადების წესი, საკონკურსო კომისიის ოქმები და გამოცხადებული ვაკანსია “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის



მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღება, ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა სპეცმასწავლებლის ვაკანსიის დოკუმენტები. სკოლის ყველა თანამშრომელზე უნდა იყოს პირადი საქმე გახსნილი რომლებშიც არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. კერძოდ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები. სკოლას განემარტა, რომ 2020 წლის 1 მაისის შემდეგ, კანონში ცვლილების მომენტიდან, თუ სკოლას გადაგზავნილი აქვს წერილი შსს-ში “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის” რეესტრში შემოწმების მიზნით, ამ პერსონალს აღარ მოეთხოვება ცნობა “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ” და მხოლოდ მას შემდეგ მიღებულმა თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ. აღმოჩნდა, რომ სკოლას გაგზავნილი აქვს ასეთი სია. სკოლას ეთხოვა აღნიშნული სია გადმოეგზავნა ექსპერტთა ჯგუფისთვის ვიზიტის დროს გადმოგზავნილ სხვა მასალებთან ერთად, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს ეს სია არ მიუღია. პირადი საქმეების შემოწმებისას კი დადგინდა, რომ თანამშრომელთა ნაწილს აქვს აღნიშნული ცნობა წარმოდგენილი, მაგრამ 20 თანამშრომელს არ აქვს. მათგან რამდენი იყო შსს-ში გადაგზავნილ სიაში, ვერ დადგინდა რადგან ვერ მოხდა გადაგზავნილი სიისა და ვიზიტის დროინდელი თანამშრომელთა სიის შედარება. განსხვავებით აღნიშნულისგან “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” არც ერთ თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი, ხოლო „ნასანართლობის შესახებ“ ცნობა ყველა მასწავლებელს აქვს წარმოდგენილი. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების პერსონალის მიერ აღებული ცნობები “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის” და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ . აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.



4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, ასევე შეიძლება ითქვას ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის - მიმართებითაც, სხვა თანამშრომლებია დამლაგებელი, დარაჯი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და ექთანი და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას დადგენილი აქვს მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში არის სტრუქტურული რგოლები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. ამასთან ერთად პერსონალის მართვის დოკუმენტშიც არის ჩანაწერი, რომ თანამშრომელთა მოტივაციის გასაზრდელად სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს. რაც შეეხება გამოცდილების დაზიარებას, კათედრის ფარგლებში განსაზღვრულია გამოცდილების გაზიარების აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად ახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში მოხდება მასწავლებელთა საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. გარდა ამისა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგს და შემდეგ, შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროებების გამოვლენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც წინა ინდიკატორსი ღინიშნა, სკოლას აქვს პერსონალის პროფესიულ საჭიროებათა განსაზღვრის მექანიზმი. ამასთანავე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 9), პროფესიული განვითარება მოხდება იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე სხვადასხვა ღონისძიებების შერჩევითა და დაგეგმვით. რასაც სკოლა განახორციელებს მომავალში. პირველადი ავტორიზაციის გამო ამ ეტაპზე ვერ ხერხდება გავლილი აქტივობების განხორციელების დადგენა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, სკოლის როლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან მოხდება პერსონალის შეფასება და პროფესიული საჭიროებების დადგენა, რაც მოიაზრება, როგორც ხელშემწყობ აქტივობად კარიერული ზრდისთვის. ასევე სკოლის ხელშემწყობად ჩაითვლება



განვითარებისთვის საჭირო რესურსის გამოყოფა, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულები, ასევე სამუშაო გრაფიკის ან/და საგაკვეთილო ცხრილის მორგება მათ კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის ახალ თანამშრომლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესები, აქტივობები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლის მხრიდან განვითარებასთან დაკავშირებული პერსონალის წახალისების კონკრეტული აქტივობები ვერ იქნა წარმოდგენილი პირველადი ავტორიზაციის გამო, თუმცა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიება

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული დამტკიცებული აქვს დოკუმენტი “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები”. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება ა ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირება/განავითარე) მიხედვით. სკოლაში მიმდინარე პროცესები ექვემდებარება ამ ციკლის მოქმედებას. მაგალითად დაგეგმილია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,



ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და გადასინჯვა ბოლოს რევიზია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას იდენტიფიცირებული აქვს სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა დოკუმენტებში, სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს ძირითად საქმიანობას, სკოლის წესდებაში და შინაგანაწესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მოვალეობებით აღწერილია პროცესები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით გაცხადებულია, რომ სკოლაში განცხადებები და საჩივრი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტის მიხედვით სკოლა, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ამის მისაღწევად სკოლამ შეიმუშავა საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი განხილვის ეფექტიანი მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულებია დირექტორი, სამეურვეო საბჭო და სააპელაციო კომიტეტი. განსაზღვრულია საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, ჩართული მხარეების ინფორმირების წესები და ვადები. გასაჩივრების



პროცედურები ეხება სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს, მათ შორის მოსწავლესაც. დამატებით განხილულია მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული გასაჩივრების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის“ შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას განათავსებს სკოლის სოციალურ ქსელში და სკოლის საინფორმაციო დაფაზე, აპირებს იგივე გააკეთოს ვებ გვერდზეც. სოციალურ ქსელში აქვს სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლითაც ოპერატიული ორმხრივი კავშირი მყარდება სასკოლო საზოგადოებასთან, შესაბამისად მიღებულ უკუკავშირზე სკოლა აკეთებს სათანადო რეაგირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სკოლის სოციალური ქსელი - <https://www.facebook.com/ingiri.skola>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ არც ერთ შენობასთან (მისამართთან) დაკავშირებით. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა წერილი, რომლითაც მიმართავს შსს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობის შემოწმებასთან დაკავშირებით და წარმოადგინა მიმართვის წერილი MES 2 23 0001425883, 24.10.2023, რომელშიც ითხოვს სკოლის ბალანსზე არსებული ორივე მისამართზე არსებული შენობების შემოწმებას. გარდა ამისა სკოლამ ვერც ერთი მისამართისთვის ვერ წარმოადგინა „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, რომელიც „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით შეთანხმებული უნდა იყოს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი MES 4 23 000425606, 24.10.2023, რომელშიც ითხოვს საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებისთვის გაუწიონ კონსულტაცია (მითითებული არა არის რომელიმე კონკრეტული მისამართი, მიმართვა ზოგადია).

სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს სამედიცინო კაბინეტი სკოლის ძირითად შენობაში-რუსთაველის ქუჩაზე, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/5/01-23/5 ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექიმი თავის კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ჟურნალებს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილი დანართების შესაბამისად. მეორე კორპუსში ექიმის კაბინეტი არაა, თუმცა სკოლის დირექტორმა ჩვენი შეკითხვის საპასუხოდ განმარტა, რომ ექიმი კვირაში 1-2-ჯერ გადმოდის ხოლმე ან საჭიროების შემთხვევაში.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ეთხოვა, თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობების ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, მაგრამ წარმოადგინა დასავლეთის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტში გაგზავნილი წერილი MES 2 23 0001357861, 12.10.2023, რომელშიც ითხოვს სკოლის ბალანსზე არსებული ორივე მისამართზე არსებული შენობების ტექნიკური მდგრადობის შეფასებას.



სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.

სკოლას ჰყავს მანდატური.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს:

ა) სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის ორივე შენობისთვის მოპოვებას. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი (იხ. ამავე ინდიკატორის აღწერა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ამ აქტივობის შესრულების ვადად შესაბამისობის გეგმაში სკოლას მითითებული აქვს 24.10.2023 – 24.10.2024 პერიოდი;

ბ) ორივე შენობასთან მიმართებით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, ამ მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგანგებო მართვის სააგენტოსთან საკონსულტაციო მომსახურების მიღებაზე. გადახდილი აქვს შესაბამისი თანხა და გაგზავნილია წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში. აღნიშნული დასკვნის მიღების ვადად სკოლას განსაზღვრული აქვს 24.10.2023 – 24.10.2024 პერიოდი;

გ) ორივე შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას. ამ მიზნით სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი დასავლეთის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტში (იხ. ამავე ინდიკატორის აღწერა), ამ დასკვნის მოპოვების ვადად შესაბამისობის გეგმაში მითითებულია პერიოდი 12.10.2023 - 12.10.2024. სამივე აქტივობის სასკოლო ადამიანურ რესურსად მითითებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მტუკი. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

2. სკოლა იცავს და ახორციელებს “ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამ წესის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია მისი შექმნის ბრძანება, სკოლას ჰყავს მანდატურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია



3. “ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა”, ბრძანების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. გარდა ამისა, ამავე გარემოს შექმნას უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ზემონახსენები ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი. გარდა ამისა სკოლის სადამრიგებლო პროგრამა და შესაბამისად სადამრიგებლო საათის ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები, რომლის თემა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობაა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც ასახულია სკოლის შენობის ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების მოთხოვნები. სკოლის ექიმმა ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ კონტროლს უწევს დამლაგებლების მიერ შენობის დასუფთავების ხარისხს და აძლევს მატ შესაბამის რეკომენდაციებს. ექიმს ეთხოვა წარმოედგინა სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი, მაგრამ ექიმმა ვერ წარმოადგინა. სკოლას მიეცა რჩევა აწარმოოს სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების ჟურნალი, სადაც აღრიცხავს შემოწმების ადგილს, პერიოდს და გაწეულ რეკომენდაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“, ამ წესის შესაბამისად განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, საფუძვლები, სუბიექტები, მონაცემთა კატეგორია, მონაცემთა მიღების წყაროები, მონაცემთა

სუბიექტის უფლებები პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც დოკუმენტის მიხედვით ოფიცერი ჰქვია, მონაცემთა მესამე პირზე გადაცემის წესი, მონაცემთა შენახვა, მონაცემთა უსაფრთხოება, მონაცემებზე წვდომა, თანამშრომელთა ვალდებულებები. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს მისთვის ცნობილი ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ზიანს მიაყენებს დამსაქმებლის ინტერესებს, მათ შორის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელთანაც იყრის თავს სკოლაში არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი, რაც იმის წინა პირობაა, რომ ინფორმაცია არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი დაუბრკოლებლად, რაც დაცულობას გულისხმობს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელთა მოღვაწეობის ზირითადი მიზანი ადამიანებისა და სკოლაში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ამ მიზნით მრჩეველთა საბჭო თავიანთ სხდომებზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს, რეკომენდაციები დგინდება პერიოდული შეფასების საფუძველზე და გაცემული რეკომენდაციები მიმართულია უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. გარდა ამისა სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილები MES 4 23 000425606, 24.10.2023 და MES 2 23 0001425883, 24.10.2023;
- დასავლეთის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტში გაგზავნილი წერილი MES 2 23 0001357861, 12.10.2023;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- სკოლის პერსონალურ მონაცემებთან დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა ორ მისამართზე ფლობს შენობებს. სკოლის ძირითადი შენობის მისამართია სოფელი ინგირი, რუსთაველის ქუჩა 407 (საკადასტრო კოდი: 43.18.41.069), ხოლო მეორე შენობა მდებარეობს მისამართზე: სოფელი ინგირი საირმის ქუჩა N29 (საკადასტრო კოდი: 43.18.41.071). ამ შენობაში ვიზიტის დროს მხოლოდ ერთი კლას-კომპლექტის სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. შენობების ფლობის დამადასტურებლად, სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერები. ამონაწერების მიხედვით მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა მოსარგებლეა არსებობის ვადით. პირველ მისამართზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართობით 19157.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: – N1 განაშენიანების ფართი 1106,21 კვ.მ.; N2 განაშენიანების ფართი 241.89 კვ.მ.; N3 - განაშენიანების ფართი 47,89 კვ.მ, და N4 - განაშენიანების ფართი 9,99 კვ.მ. მათგან სასწალო კორპუსი N1 შენობაა, რომელიც სამსართულიანია და რეაბილიტირებულია ათასწლეულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



გამოწვევის ფონდის მიერ, რომლის რეზილიტაცია დასრულდა 2019 წელს და სკოლა რეაბილიტირებულ შენობაში შევიდა 2019/2020 სასწავლო წელს.

მეორე შენობა, რომელიც საირმის ქუჩაზე მდებარეობს ორსართულიანია და მთლიანად სარეაბილიტაციოა, გარდა სველი წერტილებისა და ერთი ოთახისა, რომელიც იქ მოქმედი დაწყებითი საფეხურის ერთადერთი კლას-კომპლექტის საკლასო ოთახია. აღსანიშნავია, რომ სკოლის ამონაწერების ბოლო განახლების თარიღი არის 2011 წლის 15 სექტემბერი, სკოლას მიეცა რჩევა, რომ განახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რათა მოარგოს რეალობას, რადგან ბოლო განახლების დროს არსებობდა შენობა N2, რაც საჯარო რეესტრის 2011 წლის ამონაწერშია (და საკადასტრო გეგმაშიც), შენობა N2 რეალურად ეხლა აღარ არსებობს.

სკოლის ძირითად შენობაში სულ 17 საკლასო ოთახია (ამ შენობაში 18 ფინანსური კლასია და 1 კლასი, როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, დადის იმ საკლასო ოთახებში, რომლებსაც აქვთ სპორტი ან საბუნებისმეტყველო საგნებიდან ერთ-ერთი და იმყოფებიან ლაბორატორიაში). საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები სკოლის სამივე სართულზეა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სპორტული დარბაზი, მანდატურის ოთახი და ბუფეტი. სკოლას აქვს სპორტული მოედანი. სკოლის მეორე კორპუსში ერთი გარემონტებული საკლასო ოთახია და მასში ერთადერთი კლასკომპლექტი სწავლობს. ამავე შენობაში მოწესრიგებულია სველი წერტილები. დანარჩენი ოთახები სარეაბილიტაციოა, თუმცა სისუფთავეა. აღსანიშნავია, რომ ძირითადი კორპუსის რეაბილიტაციის დროს სკოლა ამ კორპუსსი ახორციელებდა სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობაა 500 მოსწავლე, რაც სკოლას გათვლილი აქვს ორივე კორპუსში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პირობებში, ამ მოსაზრებას იზიარებს ექსპერტთა ჯგუფიც

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია და სკოლის ბიბლიოთეკა. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი ასევე ბიბლიოთეკის დებულება. რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი დასამუშავებელია საბიბლიოთეკო წესით (არ აქვს სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები) წიგნები არაა დალაგებული რაიმე წესით (ანბანური, სისტემური ან სხვა წესით) სკოლას ეძლევა რჩევა დაამუშაოს წიგნები და აღრიცხოს საბიბლიოთეკო წესით.. ეს აღწერა სკოლის ძირითად შენობას ეკუთვნის, რაც შეეხება მეორე შენობას, როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა მხოლოდ ერთი კლას-კომპლექტი სწავლობს. შენობაში მოწესრიგებულია ამ კლას-კომპლექტის საკლასო ოთახი და სველი წერტილი. გასარემონტებელია, მაგრამ სისუფთავა სკოლის ფოიეში და კიდევ ერთ ოთახში, რომელსაც სამასწავლებლოდ იყენებენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი და შესაბამისი რესურსით აღჭურვილი რესურსოთახი, სკოლის შესასვლელში არის პანდუსები, **თუმცა შიდა კიბეებზე პანდუსები არ არის.** ეს აღწერა ეხება სკოლის ძირითად შენობას. რაც შეეხება სკოლის მეორე შენობას, რომელშიც მხოლოდ ერთი კლასი სწავლობს, გარდა იმ ნაწილისა, რაც წინა ინდიკატორშია აღწერილი, იმდენად სარემონტოა, რომ პანდუსების მოთხოვნა შეუსაბამოა გარემონტების გარეშე. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობას, სკოლას ადამიანურ რესურსად მითითებული აქვს დირექტორი და მტუკი. სხვა ჩართულ

მხარეებად რესურსცენტრი და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 30.11.2023 – 30.11.2024. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ერთნაირად და თანაბრად. ამასთან, არის ყველა პირობა იმისთვის, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდეს სოცო-კულტურულ სივრცედ. სკოლის ეზოში მოწყობილია 9 აპრილის სახელობის პარკი, რომელიც სასკოლო საზოგადოების საერთო ძალისხმევითაა მოწყობილი. 9 აპრილს თითოეულ გარდაცვლილის სახელზე პარკში დარგული ერთი ხე. პარკის დაფინანსება ერთ-ერთი მშობლის ინიციატივით მოხდა. ეს აღწერა შეეხება სკოლის ძირითად შენობას. რაც შეეხება მართალია სარემონტოა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბრად და ერთნაირად, ამასთან ამ შენობის ფუნქციონირების ერთ-ერთი მოტივი, სწორედ სკოლის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სურვილია, რაც ხელისშემწეობი ფაქტორია სკოლის ინფრასტრუქტურის სოცო-კულტურულ ცივრცედ ჩამოყალიბებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია. ლაბორატორიაში არის ონკანები ნიჟარით და გამწოვი სისტემა, არის ბუნებრივი განათება/განათების საშუალება, ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის ლაბორატორიაში ოთახი ცალკეა გამოყოფილი. სკოლას გარდა სტანდარტული ლაბორატორიული აღჭურვილობისა (ე.წ. აინშტაინის ლაბორატორია), აქვს მილენიუმის პროექტით შეძენილი აღჭურვილობა. სკოლაში არის სხვადასხვა სახის რუკები და თვალსაჩინოებები. გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი, რომელშიც ვიზიტის დროს 10 ლეპტოპი იყო, სულ სკოლას 30 ლეპტოპი აქვს; პირველკლასელ მოსწავლეებს გადაეცემათ ბუკები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტის დარბაზი გასახდელეებით. სკოლის ბიბლიოთეკაში არის კურიკულუმით განსაზღვრული სასკოლო



სახელმძღვანელოები და მხატრული ლიტერატურა. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. რაც შეეხება მეორე კორპუსს, აქ მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ერთი კლასი კომპლექტი სწავლობს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას არ საჭიროებს. მოსწავლეებს აქვთ ბუკები და საკლასო ოთახში შესაძლოა ტექნოლოგიების გაკვეთილების წარმართვა, ხოლო ბიბლიოთეკით ისარგებლებენ ძირითად კორპუსში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: 43.18.41.069 და 43.18.41.071;
- ბიბლიოთეკის დებულება
- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6. საინფორმაციო რესურს

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლაში არის 30 ლეპტოპი, ასევე პროექტორები, პრინტერები, ქსეროქსები, ხელმისაწვდომია ინტერნეტი. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის. კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესის მიხედვით განსაზღვრულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს “საქმისწარმოების წესი”. სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებსაც ერთი სარეგისტრაციო ჟურნალი აქვს. სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო school.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლა”.



პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით;
- სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიშით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც, სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სკოლის საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

52



2. ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის ან/და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის შედარებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას ძირითადად ახორციელებს ზეპირი სატელეფონო კომუნიკაციით, ასევე აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს, თუმცა ოფიციალური ურთიერთობისთვის იყენებს ელექტრონული ჟურნალს, ელექტრონული ფოსტას. ამ არხებიდან მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებგვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და საკონტაქტო ინფორმაცია. პირველადი ავტორიზაციის გამო ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები რომ არ არის ამით ინდიკატორის მოთხოვნა დარღვეულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ასევე არ არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც მითითებულია, რომ აღნიშნული ხარვეზისთვის გამოყოფილი იყო პერიოდი 21.11.2023 – 29.11.2023. სკოლას ატვირთული აქვს ვებ გვერდზე ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი



ინფორმაცია და დოკუმენტები. ამასთან ერთად სკოლამ გადმოაგზავნა დირექტორის ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის

ვებგვერდი:

<https://skolebi.emis.ge/schools/1483?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90>

- ელექტრონული ჟურნალი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სკოლის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, სკოლის ბიბლიოთეკის შევსება, შენობის სარემონტო სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ახალი რეაბილიტირებულია, სარემონტო სამუშაოებისთვის შეიძლება მცირე თანხა იყოს საჭირო. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშიტ, მათ შორის ფინანსური ანგარისითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის უფლებები“. დოკუმენტის მიხედვით აღწერილია პერსონალის მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები. ამ უფლებების დაცვის გარანტია „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტის მიხედვით სკოლა, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ამის მისაღწევად სკოლამ შეიმუშავა საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი განხილვის ეფექტიანი მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულებია დირექტორი, სამეურვეო საბჭო და სააპელაციო კომიტეტი. განსაზღვრულია საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, ჩართული მხარეების ინფორმირების წესები და ვადები. გასაჩივრების პროცედურები ეხება სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს, მათ შორის მოსწავლესაც. დამატებით განხილულია მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული გასაჩივრების წესი. ამასთან ერთად სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ამის გარდა, სკოლაში შემუშავებულია ბავშვის

მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექიმი, მანდატური, დანიშნულია რეფერირების პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, ყველა ეს პირი/სტრუქტურული ერთეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ერთ-ერთი ფიგურანტები არიან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ დამტკიცებულია 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-129 ბრძანებით და სასკოლო საზოგადოებისთვის გამჭვირვალობისა და გაზიარების მიზნებისთვის ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ არ იყო ვებ-გვერდზე ატვირთული (ამის შესახებ აღნიშნულია 3.6.3.5. ინდიკატორის აღწერაში) თუმცა გაზიარებულია კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, რითაც გამჭვირვალობაც უზრუნველყოფილი იქნა, თუმცა გამჭვირვალობისა და გაზიარების მიზნებისთვის უკეთესია „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას მიეცა რჩევა „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ გამჭვირვალობისა და გაზიარების მიზნით განათავსოს სკოლის საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც ტიპურია საჯარო სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულების

ნიმუშის და რომელიც ყოველ სასწავლო წელს დაიდება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის უფლებები“;
- „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან დასაბუთებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“, რომლებიც შესაბამისია მოქმედი კანონმდებლობისა. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, საფეხურის დაძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის დაძლევის წესისა.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა თითოეული აქტივობის შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მომსახურებების სახეები: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება, კერძოდ მოსწავლეთა დამატებითი მომსახურება - სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი - დიოგენე; კლუბი პარნასი;

60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კლუბი „რა, სად როდის“ და სპორტული კლუბი „ლეგიონი“. მათი დებულებები ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნული მომსახურების შესახებ მშობლებს ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე. აქვე ეცნობებათ იმის შესახებ ფასიანია თუ არა მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, რომელზეც გამოკრული ინფორმაცია განახლებადია. ვიზიტის პერიოდში სკოლას ახალი შექმნილი ვებგვერდი ჰქონდა და მომავალში აპირებს ვებგვერდზეც განათავსოს ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბების დებულებები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დამღევის შესახებ;
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის დირექტორის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დამღვეის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს დაამტკიცა მოსწავლეთა ტრანზიციის წესი. წესის მიხედვით ტრანზიციის პროგრამა შედგება სამი ეტაპისგან ტრენინგის ღონისძიებების დაგეგმვა, პროგრამის შემუშავება; ტრანზიციის პროგრამის განხორციელება და ტრანზიციის პროგრამის დასრულება/შეფასება. წესში გაწერილია აქტივობები, რომელსაც ახორციელებს სკოლა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა ისაუბრა, რომ ამ პროცესის განხორციელებას სკოლა, მოქმედი პრაქტიკით, ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასასრულს იწყებს, ბოლო ზარის დროს საბავშვო ბაღიდან იწვევენ მომავალ პირველკლასელებს, რომლებიც ლექსების წაკითხვით ერთვებიან ბოლო ზარის ღონისძიებაში. გარდა ამისა 15 სექტემბერს პირველკლასელებს გააცნობენ ხოლმე სკოლის შენობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ ვიზიტის დროს დაამტკიცა მოსწავლეთა „რემედიაციის წესი“. წესის მიხედვით სკოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს იმ მოსწავლეთა დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. წესში განმარტებულია, რომ სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 1-5 მოსწავლით. სკოლაში შეიძლება შეიქმნას ერთი ან რამდენიმე ჯგუფი. ასევე მოცემულია პროგრამაში ჩართული პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, მოსწავლეთა ადემიური მხარდაჭერისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა სკოლას დაგეგმილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განხორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები, სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერი წესი. ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი - დიოგენე; კლუბი პარნასი; კლუბი „რა, სად როდის“ და სპორტული კლუბი „ლეგიონი“. კლუბის ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორის სრულფასოვნად შემოწმება ვერ ხერხდება, რადგან გასული პერიოდის ამსახველი აქტივობები უნდა შეფასდეს. თუმცა, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ხშირად უკუკავშირების მიღება ხდება ზეპირი ფორმით, მაგალითისთვის დაასახელა სკოლის ეზოს განაშენიანება ნერგებით, რომელიც განხორციელდა სკოლის რეაბილიტაციის შემდგომ და განხორციელდა მშობლის ინიციატივით და დაფინანსებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი;
- მოსწავლეთა რემედიაციის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ კლასის დამრიგებლები პროფორიენტაციის შესახებ ესაუბრებიან მოსწავლეებს საბაზო საფეხურიდან. გასულ წელს განახორციელეს პროგრამა „მე ვირჩევ პროფესიას“, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ მე-11 კლასის მოსწავლე და სამოქალაქო კლუბის ხელმძღვანელი. პროექტის ერთ-ერთი მიზანი (როგორც პროექტის პროგრამაშია აღნიშნული) არის, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ პროფესიის არჩევა არ არის ადვილი და საჭიროა მეტი დაფიქრება. საგულისხმოა, რომ პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო არა მარტო მოსწავლეები, არამედ მშობლები და თემის წარმომადგენლები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად მოდიან სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც მოსწავლეებს ესაუბრებიან მათ მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და პროფესიების შესახებ. გარდა ამისა სამოქალაქო განათლების გეგმაში გათვალისწინებულია პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის საკითხებიც. გარდა ამისა, სკოლის დირექტორმა თქვა, რომ გასულ წელს ჰყავდათ სტუმრები სკოლაში, რომლებმაც თავიანთ პროფესიაში ისაუბრეს მოსწავლეებთან და პასუხები გასცეს მოსწავლეთა კითხვებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პირველადი ავტორიზაციის გამო სკოლას არ ჰქონდა ასეთი უკუკავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები, გარდა ზემოთ აღნიშნული მხატვრული კითხვის წრის გახსნისა, თუმცა როგორც დირექტორმა განმარტა, უნდა ვივარაუდოთ რომ სკოლას ააქტიური მშობლები ჰყავს და მათგან უკუკავშირების მოცემა არ იქნება პრობლემური.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი „მე ვირჩევ პროფესიას“
- სამოქალაქო კლუბის სამუშაო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, ის შეფასებულია სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლის მშობელმა, დამრიგებელმა, საგნის მასწავლებლებმა და სპეცმასწავლებელმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ-ის შექმნის პროცედურები, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პირველადი ავტორიზაციის გამო აღნიშნული ინდიკატორი შეიძლება ვერ შეფასებულიყო, რადგან ჩართულობა გასული პერიოდის აქტივობაა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს. დასკვნაში აღნიშნულ ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება მომავალი ინდგეგმის შემუშავებისას, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის და განვითარებისთვის გამოიყენებს წინარე გამოცდილებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული. სასკოლო საზოგადოება მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის, მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესშიც აქტიურად არის ჩაბმული. სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმების შემუშავების ჯგუფის ბრძანება და შეხვედრების ოქმები. ისე ჯგუფის წევრები არიან მოსწავლის მშობელი, სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. თითოეული მათგანის ჩართულობისა და თანამშრომლობის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს წინსვლასა და განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მარეგულირებელიდან ნებართვას რომ საჭიროებს ასეთი მომსახურებებიდან, როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, იჯარით გაცემული აქვს ფართი ბუფეტისთვის და სპორტული დარბაზი ცეკვის სტუდიისთვის. სკოლას ეთხოვა წარმოედგინა იჯარის ხელშეკრულებები და მარეგულირებელიდან მიღებული ნებართვები, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა და არც ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებთან ერთად გადმოაგზავნა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ ფართის ბუფეტისთვის და ნებადართული საქმიანობისთვის იჯარის გაცემის თაობაზე ნებართვის მოპოვების მიმოწერა და მიღებული თანხმობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან (MES 6 23 0001474037, 01/11/2023 და MES 9 23 0001488521, 03/11/2023) და ქონების



მართვის ეროვნული სააგენტოსგან (KA021752490858223, № 13/67228, 07.12.2023) შესაბამისად დაფიქსირებული
ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

2. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ საკლუბო მომსახურებას. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი - დიოგენე; კლუბი პარნასი; კლუბი „რა, სად როდის“ და სპორტული კლუბი „ლეგიონი“. კლუბში გაწევრიანება ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება - საკლუბო მუშაობა - ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლუბების დებულებები.
- იჯარის გაცემაზე ნებართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან - (MES 6 23 0001474037, 01/11/2023 და MES 9 23 0001488521, 03/11/2023);
- იჯარის გაცემაზე ნებართვა ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან - (KA021752490858223, № 13/67228, 07.12.2023);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პროცესები და განვითარების ეტაპები ასევე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი არის ეროვნული სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების,

73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების, შესაძლებლობას. სკოლას შერჩეული აქვს სხვადასხვა საგნისთვის საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება გასული წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე და ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. წინა წლების შედეგებზე დაყრდნობით კათედრებზე ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის შემუშავება. (შეესაბამება)

2. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სწავლა-სწავლებისთვის შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს. ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტები, დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობელთა კრების ოქმი და მასწავლებლებთან ინტერვიუები ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (შეესაბამება)

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამის არგუმენტი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი კათედრის სამუშაო გეგმა. კურიკულუმების შემუშავების პროცესში იკვეთება თანამშრომლობითი და გუნდურობის პრინციპი. სკოლაში კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრები მუშაობდნენ გუნდურად, და ასევე თანამშრომლობდნენ სხვა კათედრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კათედრის დებულებაში ერთ საკითხად, სწორედ, სხვა კათედრებთან ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელებაა (პედაგოგებმა ასევე წარმოდგინეს ინტეგრირებული გაკვეთილები). (შეესაბამება)

4. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. უკვე დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული

მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრაზე ითვალისწინებენ საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა და მცდელობა, რომ ამ პროცესებში მიიღოფრო აქტიური უკუკავშირი როგორც მოსწავლეებისგან, ასევე მშობლებისგან და ამისათვის სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ აქტივობას განახორციელებენ. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- მშობელთა კრების ოქმები
- სახელმწიფო ენის კათედრის დებულება
- კურიკულუმის ჩარჩოები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები იგეგმება იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალების ბარათები, გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გააზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

(შეესაბამება)

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ აქვთ სასწავლო პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება) რომელიც თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების დროს წარმოჩენილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და იყენებენ მას სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან, მზაობიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, რაც დადებითად აისისახება სწავლების შედეგზე. გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი პედაგოგებს აქვთ გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უზიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და ამისათვის ისინი პედაგოგებისგან რეკომენდაციებსაც იღებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

რჩევა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში გაიწეროს მოლოდინები მიმართებით დონეზე.

სპორტი- ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, ამ მიმართულებით კიდევ ერთი აფგუმენტია მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი, სადაც გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილებას აქტიურად იყენებენ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში ადასტურებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში შეტანილი თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას ნამდვილად იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული, რომ მასზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს სჭირდება ფიქრი, მსჯელობა, მოსაზრებების ჩამოყალიბება, მოსაზრების გაზიარება კლასისთვის, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა. მაგალითად ერთ-ერთი საგნის მაგალითზე ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქმედებითობის გამოვლენას.

მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. (შეესაბამება)

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ სასკოლო გარემოში ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას. წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად სპორტის მიმართულებით განხორციელებული კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამ და სხვა საგნების მაგალითზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასებისა და საგნების მატრიცებიც. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიაწვდის, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში ამის ხელშესაწყობად აქტიურად იყენებენ ისეთ შეკითხვებს, რომელიც მათ მოსწავლეებს ეხმარება დაფიქრდნენ საკუთარი სწავლის პროცესზე და იმ მეთოდებზე, რომელსაც ისინი დავალებების შესრულებისას იყენებენ. კომპლექსური დავალებების დანერგვა და განვითარებაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება. საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები ადასტურებს, რომ პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. თემატური მატრიცები და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ყურადღება ექცევა ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ამ კუთხით სკოლაში ნამდვილად ჩანს მრავალფეროვანი და მდიდარი გამოცდილება. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- ინტეგრირებული კომპლექსური დავალება
- წარმოდგენილი პროექტები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

დაწყებითი საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (I -VI კლასები) კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. I, II, III და IV კლასის კურიკულუმებს დართული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა II კლასის კურიკულუმს. ასევე, გადმოგზავნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება VI კლასის კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებებს. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **რჩევა საგანში მათემატიკა** - კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამეთ შესაბამისი ცნება და ქვეცნება. (შეესაბამება)

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თავისი როლი, როგორ უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხელშეწყობა, თანაბარი გარემოს შექმნა ყველა მოსწავლისათვის საკუთარი შესაძლებლობისა მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად, მოსწავლეებში სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავება ასევე მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია განხორციელებული პროექტი „მედიაწიგნიერება“. რომლის ფარგლებშიც ძირითადი აქცენტი სწორედ მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იყო გაკეთებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი რუბრიკა), თვითშეფასების რუბრიკები და შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები არის მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობა. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. მათ ასევე წარმოადგინეს ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები. კათედრას აქვს პოტენციალი და მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისა. მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურ მუშაობას და შესაფერის სისტემის სრულყოფას გეგმავენ. (შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე 10- ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ხშირად არიან ჩართულები მოსწავლეებიც და მათი აზრიც გათვალისწინებულია. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლას აქვს კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის და მას არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ; ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება და მასწავლებლებს მიეწოდებათ ობიექტური უკუკავშირი. ყოველივე დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში. (შეესაბამება)

ინდიკატორი 6.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

(შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლაში ჩატარებული გასაუბრებიდან გაირკვა სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები სასწავლო პროცესში ერთობლივად გეგმავდნენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების პრაქტიკაც საკმაოდ ხშირია. (შეესაბამება)

2. კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოარის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, პედაგოგები დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფლები არიან და პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია სწორედ მოსწავლეებზე. რჩევა საგანში მათემატიკა- სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი. (შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). თანამშრომლობა ხდება სხვადასხვა დროსა და სივრცეში, მტავარი მიზანი კი სწავლა-სწავლების პროცესის სწორად და ნაყოფიერად წარმართვაა. (შეესაბამება)

4. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მათი თანამშრომლობა არის პოზიტიური და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს იმაზე, რომ სასკოლო კლიმატი იყოს დადებითი, არამხოლოდ სკოლი, არამედ კლასის დონეზეც. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე, რაც მოიაზრებს ურთიერთდასწრებას და უკუკავშირის მიწოდებას. (შეესაბამება)

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. (შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) , ასევე ინტერვიუების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი ,რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განხორციელებული პროგრესის შესახებ. სკოლა ამ მიმართულებით ცდილობს აქტიურად იმუშაოს და კიდევ უფრო დახვეწოს არსებული შეფასების სისტემა. (შეესაბამება)

2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი პროცესს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. (შეესაბამება)

3. როგორც ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. (შეესაბამება)

4. პროცესის შეფასებისას სკოლაში გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და სხვა. შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები) შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებებით აქტიურად სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. (შეესაბამება)
2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და სხვა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პროცესები და განვითარების ეტაპები ასევე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი არის ეროვნული სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების, შესაძლებლობას. სკოლას შერჩეული აქვს სხვადასხვა საგნისთვის საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება გასული წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე და ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. წინა წლების შედეგებზე დაყრდნობით კათედრებზე ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის შემუშავება. (შეესაბამება)

2. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სწავლა-სწავლებისთვის შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს. ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტები, დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობელთა კრების ოქმი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მასწავლებლებთან ინტერვიუები ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (შეესაბამება)

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამის არგუმენტი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კათედრის სამუშაო გეგმა. კურიკულუმების შემუშავების პროცესში იკვეთება თანამშრომლობითი და გუნდურობის პრინციპი. სკოლაში კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრები მუშაობდნენ გუნდურად, და ასევე თანამშრომლობდნენ სხვა კათედრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის დებულებაში ერთ საკითხად, სწორედ, სხვა კათედრებთან ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (პედაგოგებმა ასევე წარმოდგინეს ინტეგრირებული გაკვეთილები). (შეესაბამება)

4. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. უკვე დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრაზე ითვალისწინებენ საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა და მცდელობა, რომ ამ პროცესებში მიიღოფრო აქტიური უკუკავშირი როგორც მოსწავლეებისგან, ასევე მშობლებისგან და ამისათვის სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ აქტივობას განახორციელებენ. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები

- მშობელთა კრების ოქმები
- სახელმწიფო ენის კათედრის დებულება
- კურიკულუმის ჩარჩოები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმები იგეგმება იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალების ბარათები, გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გააზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

(შეესაბამება)

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ აქვთ სასწავლო პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება) რომელიც თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების დროს წარმოჩენილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები საბაზო საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და იყენებენ მას სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან, მზაობიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, რაც დადებითად აისისახება სწავლების შედეგზე. გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. **რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის კურიკულუმი)-** წარმოდგენილ იქნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ქიმიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სპორტი- ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი პედაგოგებს აქვთ გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უზიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და ამისათვის ისინი პედაგოგებისგან რეკომენდაციებსაც იღებენ. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, ამ მიმართულებით კიდევ ერთი აფგუმენტია მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი, სადაც გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილებას აქტიურად იყენებენ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში ადასტურებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში შეტანილი თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას ნამდვილად იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული, რომ მასზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს სჭირდება ფიქრი, მსჯელობა, მოსაზრებების ჩამოყალიბება, მოსაზრების გაზიარება კლასისთვის, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა. მაგალითად ერთ-ერთი საგნის მაგალითზე ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქმედებითობის გამოვლენას.

მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ სასკოლო გარემოში ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას. წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად სპორტის მიმართულებით განხორციელებული კომპლექსური დავალება, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მოძიებებს, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამ და სხვა საგნების მაგალითზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასებისა და საგნების მატრიცებიც. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში ამის ხელშესაწყობად აქტიურად იყენებენ ისეთ შეკითხვებს, რომელიც მათ მოსწავლეებს ეხმარება დაფიქრდნენ საკუთარი სწავლის პროცესზე და იმ მეთოდებზე, რომელსაც ისინი დავალებების შესრულებისას იყენებენ. კომპლექსური დავალებების დანერგვა და განვითარებაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება. საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები ადასტურებს, რომ პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. თემატური მატრიცები და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ყურადღება ექცევა ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ამ კუთხით სკოლაში ნამდვილად ჩანს მრავალფეროვანი და მდიდარი გამოცდილება. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმი
- ინტეგრირებული კომპლექსური დავალება
- წარმოდგენილი პროექტები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ისახავს მიზნად. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **რჩევა საგანში მათემატიკა** - კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამეთ შესაბამისი ცნება და ქვეცნება. (შეესაბამება)

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თავისი როლი, როგორ უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხელშეწყობა, თანაბარი გარემოს შექმნა ყველა მოსწავლისათვის საკუთარი შესაძლებლობისა მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად, მოსწავლეებში სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავება ასევე მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია განხორციელებული პროექტები რომლის ფარგლებშიც ძირითადი აქცენტი სწორედ მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იყო გაკეთებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი რუბრიკა), თვითშეფასების რუბრიკები და შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები არის მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობა. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. მათ ასევე წარმოადგინეს ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები. კათედრას აქვს პოტენციალი და მზაობა მოსწავლის ჰოლისტიური განვითარების მხარდაჭერისა. მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურ მუშაობას და შესაფერის სისტემის სრულყოფას გეგმავენ. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე 10- ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ხშირად არიან ჩართულები მოსწავლეებიც და მათი აზრიც გათვალისწინებულია. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლას აქვს კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის და მას არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ; ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება და მასწავლებლებს მიეწოდებათ ობიექტური უკუკავშირი. ყოველივე დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში. (შეესაბამება)

ინდიკატორი 6.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

(შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლაში ჩატარებული გასაუბრებიდან გაირკვა სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები სასწავლო პროცესში ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების პრაქტიკაც საკმაოდ ხშირია. (შეესაბამება)

2. კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოარის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, პედაგოგები დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფლები არიან და პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია სწორედ მოსწავლეებზე. **რჩევა საგანში მათემატიკა-** სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი. (შეესაბამება)

3. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). თანამშრომლობა ხდება სხვადასხვა დროსა და სივრცეში, მტავარი მიზანი კი სწავლა-სწავლების პროცესის სწორად და ნაყოფიერად წარმართვაა. (შეესაბამება)

4. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მათი თანამშრომლობა არის პოზიტიური და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს იმაზე, რომ სასკოლო კლიმატი იყოს დადებითი, არამხოლოდ სკოლი, არამედ კლასის დონეზეც. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე, რაც მოიაზრებს ურთიერთდასწრებას და უკუკავშირის მიწოდებას. (შეესაბამება)

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დამლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პრაქტიკა, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. (შეესაბამება)

3. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) , ასევე ინტერვიუების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე ,

110

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. სკოლა ამ მიმართულებით ცდილობს აქტიურად იმუშაოს და კიდევ უფრო დახვეწოს არსებული შეფასების სისტემა. (შეესაბამება)

2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი პროცესს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით: ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. (შეესაბამება)

3. როგორც ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. (შეესაბამება)

4. პროცესის შეფასებისას სკოლაში გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და სხვა. შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები) შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებებით აქტიურად სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. (შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

112



2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და სხვა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

115

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პროცესები და განვითარების ეტაპები ასევე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი დასაყრდენი არის ეროვნული სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების, შესაძლებლობას. სკოლას შერჩეული აქვს სხვადასხვა საგნისთვის საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე, ითვალისწინებენ კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება გასული წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე და ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. წინა წლების შედეგებზე დაყრდნობით კათედრებზე ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება კურიკულუმის შემუშავება. (შეესაბამება)

2. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სწავლა-სწავლებისთვის შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს. ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტები, დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობელთა კრების ოქმი და

მასწავლებლებთან ინტერვიუები ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (შეესაბამება)

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ამის არგუმენტი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმა. კურიკულუმების შემუშავების პროცესში იკვეთება თანამშრომლობითი და გუნდურობის პრინციპი. სკოლაში კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრები მუშაობდნენ გუნდურად, და ასევე თანამშრომლობდნენ სხვა კათედრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრის დებულებაში ერთ საკითხად, სწორედ, სხვა კათედრებთან ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (პედაგოგებმა ასევე წარმოდგინეს ინტეგრირებული გაკვეთილები). (შეესაბამება)

4. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრების მიერ. უკვე დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრაზე ითვალისწინებენ საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა და მცდელობა, რომ ამ პროცესებში მიიღოფრო აქტიური უკუკავშირი როგორც მოსწავლეებისგან, ასევე მშობლებისგან და ამისათვის სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ აქტივობას განახორციელებენ. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები

- მშობელთა კრების ოქმები
- სახელმწიფო ენის კათედრის დებულება
- კურიკულუმის ჩარჩოები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმები იგეგმება იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები და კომპლექსური დავალების ბარათები, გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გააზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

(შეესაბამება)

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უმეტესად დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება. კათედრის გამოგზავნილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, მდიდარი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები (ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ აქვთ სასწავლო პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება) რომელიც თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების დროს წარმოჩენილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები საშუალო საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -კათედრაზე არსებული გამოცდილების საფუძველზე , საშუალო საფეხურზე ბიოლოგიაში , ქიმიაში და ფიზიკაში (მეთერთმეტე კლასი) შექმნილი კურიკულუმების მსგავსად მოდიფიცირდეს ფიზიკის მეათე კლასის კურიკულუმი ისე, რომ მკაფიო იყოს სამიზნე ცნებებზე და სავალდებულო თემებზე ორიენტირება. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და იყენებენ მას სასწავლო პროცესში. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან, მზაობიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, რაც დადებითად აისისახება სწავლების შედეგზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი პედაგოგებს აქვთ გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირის მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უზიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და ამისათვის ისინი პედაგოგებისგან რეკომენდაციებსაც იღებენ. **რჩევა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -კათედრაზე საბაზო და საშუალო საფეხურზე შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მსგავსად შეიქმნას საშუალო საფეხურზე ბიოლოგიასა და ფიზიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

სპორტი- სპორტი- ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, ამ მიმართულებით კიდევ ერთი აფგუმენტია მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი, სადაც გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილებას აქტიურად იყენებენ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული



დოკუმენტის არსებობა სკოლაში ადასტურებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

121



2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში შეტანილი თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას ნამდვილად იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული, რომ მასზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს სჭირდება ფიქრი, მსჯელობა, მოსაზრებების ჩამოყალიბება, მოსაზრების გაზიარება კლასისთვის, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა. მაგალითად ერთ-ერთი საგნის მაგალითზე ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქმედებითობის გამოვლენას.

მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. (შეესაბამება)

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ სასკოლო გარემოში ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას. წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად სპორტის მიმართულებით განხორციელებული კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მოხილვას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამ და სხვა საგნების მაგალითზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასებისა და საგნების მატრიცებიც. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლეებში ამის ხელშესაწყობად აქტიურად იყენებენ ისეთ შეკითხვებს, რომელიც მათ მოსწავლეებს ეხმარება დაფიქრდნენ საკუთარი სწავლის პროცესზე და იმ მეთოდებზე, რომელსაც ისინი დავალებების შესრულებისას იყენებენ. კომპლექსური დავალებების დანერგვა და განვითარებაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავენ მომავალი განვითარების გზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა ფორმებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება. საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები ადასტურებს, რომ პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. თემატური მატრიცები და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ყურადღება ექცევა ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ამ კუთხით სკოლაში ნამდვილად ჩანს მრავალფეროვანი და მდიდარი გამოცდილება. (შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- ინტეგრირებული კომპლექსური დავალება
- წარმოდგენილი პროექტები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. სკოლაში გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **რჩევა საგანში მათემატიკა** კურიკულუმის ჩარჩოში თემები შერჩეულ იქნას სტანდარტის შესაბამისად, თითოეულ თემას შეუსაბამეთ შესაბამისი ცნება და ქვეცნება. (შეესაბამება)

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ თავისი როლი, როგორ უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხელშეწყობა, თანაბარი გარემოს შექმნა ყველა მოსწავლისათვის საკუთარი შესაძლებლობისა მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად, მოსწავლეებში სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავება ასევე მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია განხორციელებული პროექტები რომლის ფარგლებშიც ძირითადი აქცენტი სწორედ მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე იყო გაკეთებული. (შეესაბამება)

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შეფასების განმავითარებელი რუბრიკა), თვითშეფასების რუბრიკები და შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები არის მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობა. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშაობას. მათ ასევე წარმოადგინეს ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები. კათედრას აქვს პოტენციალი და მზაობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისა. მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურ მუშაობას და შესაფების სისტემის სრულყოფას გეგმავენ. (შეესაბამება)

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე 10- ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. პედაგოგებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას ხშირად არიან ჩართულები მოსწავლეებიც და მათი აზრიც გათვალისწინებულია. (შეესაბამება)

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა სკოლას აქვს კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის და მას არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ; ხშირად ხდება საგაკვეთილო მონიტორინგი/ურთიერთდასწრება და მასწავლებლებს მიეწოდებათ ობიექტური უკუკავშირი. ყოველივე დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში.

(შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 6.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

(შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლაში ჩატარებული გასაუბრებიდან გაირკვა სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები სასწავლო პროცესში ერთობლივად გეგმავდნენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების პრაქტიკაც საკმაოდ ხშირია. (შეესაბამება)

2. კათედრების წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოარის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, პედაგოგები დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფლები არიან და პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია სწორედ მოსწავლეებზე. **რჩევა საგანში მათემატიკა-** სასურველია რესურსები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ თემის სიღრმისეულად გასააზრებლად, იყოს მრავალფეროვანი. (შეესაბამება)

3. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). თანამშრომლობა ხდება სხვადასხვა დროსა და სივრცეში, მტავარი მიზანი კი სწავლა-სწავლების პროცესის სწორად და ნაყოფიერად წარმართვაა. (შეესაბამება)

4. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მათი თანამშრომლობა არის პოზიტიური და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს იმაზე, რომ სასკოლო კლიმატი იყოს დადებითი, არამხოლოდ სკოლი, არამედ კლასის დონეზეც. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე, რაც მოიაზრებს ურთიერთდასწრებას და უკუკავშირის მიწოდებას. (შეესაბამება)

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დამლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. (შეესაბამება)

3. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) , ასევე ინტერვიუების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით იკვეთება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

131



3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. სკოლა ამ მიმართულებით ცდილობს აქტიურად იმუშაოს და კიდევ უფრო დახვეწოს არსებული შეფასების სისტემა. (შეესაბამება)
2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი პროცესს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით: ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. (შეესაბამება)
3. როგორც ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. (შეესაბამება)
4. პროცესის შეფასებისას სკოლაში გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და სხვა. შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით



(შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები) შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებებით აქტიურად სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. (შეესაბამება)

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და სხვა. (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

მარი ფალელაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ნინო ბერიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა კასრაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოფიო მურუსიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



ინგა ხრიკაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



ვერა გუდაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



მარიამ ჯვარიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

136



ნონა

ნონა გორგილაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

[Handwritten signature of Nona Gorgiladze]

საბა დარსაველიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

[Handwritten signature of Saba Darasavelidze]

ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

[Handwritten signature of Nino Chichinadze]

11.12.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
